
სრულიად გამოგონილი
ამბები:
პატარა მანქანა
მი და ძალლი მარტი-პუხ
თინა ლეჩხავა

თინა ლეჟავა

სრულიად გამოგონილი ამბები: პატარა მანქანა მი და ძაღლი მარტი-პუჰ .

https://litres.ru/74788369
SelfPub; 2026

Аннотация

შინაარსი

თბილი, საინტერესო და ჭეშმარიტად რეალური ისტორიების კრებული, რომელიც შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ბავშვის ცხოვრებაში. მანქანა მი და ძაღლი მარტი პუჰი საუკეთესო მეგობრები არიან. ერთად ისინი იკვლევენ სამყაროს და ეხმარებიან ერთმანეთს სირთულეების გადალახვაში, რის შედეგადაც ხდებიან საინტერესო მოვლენების მონაწილენი. ისტორიები საგანმანათლებლო ხასიათისაა და ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. თითოეული ისტორია სავსეა თავგადასავლებითა და სასაცილო მოვლენებით.

თითოეული ისტორიისთვის დასმული კითხვების გამოყენებით შეგიძლიათ განიხილოთ სიუჟეტი ბავშვებთან ან და მთელ ოჯახთან ერთად.

ბეჭდურ ვერსიაში, პატარა მკითხველები იპოვიან მომხიბვლელ ლაბირინთებს.

ბღაპარი დაუპატიჟებელი სტუმარი და კითხვები თითოეული ისტორიისთვის დაწერა ჩემმა შვილმა ამირან ლეჟავამ, ის 9 წლისაა.

თარგმანი ქართულად: ინესა ჭონქაძე

თინა ლეჟავა
სრულიად გამოგონილი ამბები: პატარა მანქანა მი და ძაღლი მარტი-პუჰ .

მშვიდ ტყეში,
ხასხასა ფოთლებში
მიმალულიყო პატარა სახლი
ფიჭვის ტოტებში.

მაგ ნათელ სახლში,
თბილსა და მყუდროში
ცხოვრობს თეთრი ძაღლი,
მას მეგობარი ჰყავს გვერდში.

ის შესახედავად ლითონის არის:
თითქოს რკინაა,
მაგრამ გაეხსნა გულის კარი
და იგრძნო, რომ ცოცხალი არის

მას დაეუფლა
ბედნიერების განცდა,

სინაზე იგრძნო
სამყარო შეუყვარდა.

მანქანების ოჯახი
იმ სახლში ცხოვრობდა,
პიცით სადილობდნენ,
კომპოტი უყვარდათ.

სახლამდე ლიფტით
ცამდე მიფრინავდნენ,
უყვარდათ საჩუქრები,
მხიარულად იცინოდნენ

მზიანი ლოლიპოპი.



მაღალ მთაზე, ტყის კიდეზე, იზრდება დიდი, ლამაზი ხე. მისი მძლავრი ტოტები მთელ სახლს დაიტევდა და მართლაც, ხშირ ფოთლებს შორის იმალებოდა სახლი, სადაც პატარა წითელი მანქანა, სახელად მი, ცხოვრობდა. მას ყავისფერი თვალები და ძალიან, ძალიან ცნობისმოყვარე

ბუნება ჰქონდა. მის ჰყავს საუკეთესო მეგობარი, თეთრი, ფუმფულა ძაღლი, სახელად მარტი-პუჰი, მაგრამ ყველა მას უბრალოდ პუჰს ეძახის. ის ისეთი თეთრი და რბილია, როგორც ღრუბელი. პუჰს ჭკვიანი თვალები აქვს, ხოლო მისი კუდი მრგვალ, ბეწვიან დონატს ჰგავს.

მანქანა მის, რა თქმა უნდა, ჰყავს დედა და მამა. ტრანსფორმერული მანქანების ოჯახი ძალიან უჩვეულოა, შეიძლება ითქვას, ჯადოსნურიც კი. ბოლოს და ბოლოს, თუ წარმოვიდგენთ, რომ მანქანებს შეუძლიათ გემოს დაგემოვნება, ემოციების განცდა, სამსახურში წასვლა, გაზრდა და პიცის ჭამაც კი... ისინი ასევე ხვდებიან ცხოველებს და უყვართ ოჯახური სითბო. ერთ დღეს მამამ გამოიგონა სპეციალური ლიფტი, რათა ოჯახისთვის ხის სახლამდე მისვლა გამარტივებულიყო. მყუდრო ხის კაბინა თავისი საბაგირო სისტემით და ჭკვიანი სასწორით მთელ ოჯახს აღაფრთოვანებდა. ლიფტს ჩუმად აჰყავდა მი და პუჰი პირდაპირ სახლში, შემდეგ კი ისევ ჩაჰყავდა ბაღში, და ყოველ ჯერზე მეგობრები ხდებოდნენ პატარა ჯადოსნობის მონაწილენი! პუჰს და მის უყვართ თავიანთი სამყაროს შესწავლა, მათ აინტერესებს ყველაფერი, რაც არის გარშემო: უმცირესი მწერიდან დაწყებული ცაზე მომაჯადოებელი ვარსკვლავებით დამთავრებული. მი უყურებს მზის ნათებას ვიტრაჟულ ფანჯარაში და ფიქრობს:

— როგორ ჰგავს ეს იმ მანათობელ, ტკბილ, მზიან ლოლიპოპს, რომელიც დღეს დამესიზმრა! მმმმ... ის ისევე გემრიელად ბრწყინავდა... საინტერესოა... როგორი გემო

აქვს???

მი მივიდა და, ტრანსფორმირებული, ფანჯარასთან ჩაიცუცქა და ენა რაც შეიძლება შორს გამოყო. ნელა აიწია და შემდეგ დაიწია, მიმ მინის ლოკვა დაიწყო იმ იმედით, რომ ვაშლის კანფეტის გემოს შეიგრძნობდა. ამ დროს პუჰი ოთახში შემოფრინდა, ფუმფულა თეთრი გრაციოზული ღრუბელივით. მან დაინახა რაც ხდებოდა და მასაც გაუჩნდა ცნობისმოყვარეობა:

— რა იპოვა მიმ ასეთი გემრიელი?

იმავე მომენტში ის მიუახლოვდა მეგობარს და მის მსგავსად ფანჯრის ლოკვა დაიწყო, ოღონდაც მეორე მხრიდან. ისინი ისე სწრაფად მოძრაობდნენ ერთმანეთისკენ, რომ შეჯახების საფრთხე ემუქრებოდათ. მაგრამ პატარა მი დროულად გაჩერდა და გაკვირვებულმა გაიფიქრა:

— ეს არასწორი კანფეტია!“

— პუჰ, გაჩერდი! ეს სულაც არ არის გემრიელი! — ჩუმად ჩაიჩურჩულა მიმ, რომ დედა-მანქანას არ გაეგონა.

მაგრამ პუჰს არ შეეძლო გაჩერება:

— თუ გამიმართლა, ძეხვის გემოს ვიპოვი! ან... ან დედაჩემის გამომცხვარი ღვეზელის გემოს, უფ! — პუჰი ოცნებობდა და მინის ლოკვას განაგრძობდა. ის იმდენად იყო ჩაფლული, რომ ვერ შეამჩნია, როგორ გადავიდა უკვე მეორე ფანჯარასთან.

უცებ პუჰმა ერთი თვალი გაახილა და დაინახა

ციყვები, რომლებიც ბაღში ფანჩატურის სახურავზე იყვნენ შეკრებილები. პატარა ცხოველები სიცილისგან გორაობდნენ. ენები გამოწეული ჰქონდათ და აჯავრებდნენ პატარა ძაღლს. პუჰი ადგილზე გაიყინა... უმანკო სახით იგი ჩუმად დაიხია უკან.

— ახლა გაჩვენებთ, როგორ უნდა გაჯავრება! — გაიფიქრა პუჰმა და სახლიდან გაიქცა.

ის ისე მრისხანედ აბაკუნებდა კიბეებზე თათებს, რომ ყველა ციყვი მაშინვე გაიფანტა.

ამ დროს დედა ჩუმად შემოვიდა ოთახში და გაკვირვებულმა იკითხა:

— რა დაემართა ჩვენს ფანჯრებს?

— ნუუუ... მე... მინდოდა მზის ლოლიპოპის გასინჯვა და მარტი-პუჰი მეხმარებოდა მინაზე მის დაჭერაში! - ჩაილაპარაკა მიმ და თვალები დახარა.

— ოჰ, ჩემო პატარავ! ის, რომ შენ ასე გაინტერესებს ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგია. მშვენიერია, რომ სამყაროს შეიცნობ! მაგრამ ზოგიერთი რამ შეიძლება ძალიან საშიში იყოს შენი ჯანმრთელობისთვის, - თქვა დედამ და ბავშვს მოეფერა.

მიმ გაკვირვებულმა თვალები დაახამხამა და ჩურჩულით თქვა:

— ამაზე არც კი მიფიქრია... მე... ვეცდები უფრო ფრთხილად ვიყო...

ისინი შეთანხმდნენ, რომ მი აღარაფერს გასინჯავდა,

თუ დარწმუნებული არ იქნებოდა, რომ უსაფრთხო იყო. მაგრამ პუჰი მაინც ოცნებობდა მინაზე თავისი საყვარელი არომატების პოვნაზე. ფარულად,

როდესაც სახლში არავინ იყო, პუჰი აგრძელებდა ფანჯრის მიყოლებით ფრთხილად ალოკვას... ბოლოს და ბოლოს, ის ძაღლია...

1. რა დაესიზმრა მის?
2. რატომ შეიძლება იყოს ყველაფრის გასინჯვა ასეთი საშიში?
3. რაზე შეთანხმდნენ დედა და მი?

დაეხმარე მანქანა მის მეგობართან შეხვედრაში.



დაკარგული ნივთები



იმ დროს, როდესაც ღამე დგება და ყველას სძინავს, ძაღლი პუჰი იპარება მანქანა მიას საბნის ქვეშ, რომ თბილად დაიძინოს და თათები გაითბოს. ხოლო როდესაც ოთახში არავინ არის, პუჰს უყვარს მიმოფანტული სათამაშოების ჩუმად შეგროვება და ბაღში დამარხვა. ის დიდი ხანია ოცნებობს გაზარდოს ხე, ან თუნდაც ბუჩქი, რომელიც სათამაშოებს მოისხავს. მან საჩურჩულოც კი გამოიგონა ზრდის დასაჩქარებლად:

გაიზარდე, ბურთო, გაიზარდე, დათვო!
გაიზარდე, კურკავ, ქოთანში!
მე დაგაფარებთ ნაზად ჩემს თბილ თათებს,
იმისთვის რომ სწრაფად გაიზარდოთ თქვენ!
გაიზარდე ლამაზ ბუჩქად!
გაიზარდე ხევ სითბოში—
ტოტები ცას მიაშურე,
სათამაშოები მოისხი!

პუხს ბევრჯერ უნახავს, როგორ რგავდა დედა მანქანა ბაღში ნერგებს, რომლებიდანაც გემრიელი ბოსტნეული იზრდებოდა. ერთ დღეს, მი მანქანამ შეამჩნია, რომ რაღაც აკლდა:

— სად არის ჩემი ბურთები? ჩემი საყვარელი მწვანე ყიყინა სად გაქრა! — დამწუხრებულმა ჩაიჩურჩულა მიმ. — სად ქრება ჩემი ნივთები?

შემდეგ მი დივანთან მდგარ პატარა მაგიდის ქვეშ

დაიმალა და სუნთქვაშეკრულმა დაინახა, როგორ მიეპარა ძაღლი პუჰი მის საყვარელ ჟელეს დათუნიას მარწყვის სურნელით, შემდეგ კი ხიდან პატარა კიბით პირდაპირ ბაღში გაემართა. პაწია თეთრი კუდი მას აწეული ჰქონდა სიამოვნებისგან.

შემდეგ ის დაბრუნდა და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეპარა რბილი გორილა, რომელიც იდო დიდ მაგიდაზე.

—სკამზე რომ ავცოცდე და შემდეგ მაგიდაზე! აააარა... აააარა - ეს ძალიან შესამჩნევი იქნება... — გაიფიქრა პუჰმა.

— მომიწევს გარისკვა! — გადაწყვიტა პუჰმა, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ უკვე სკამზეა.

— აჰა!!! დაგიჭირე! — დაიყვირა მიმ.

მოულოდნელობისგან პუჰი გაიქცა. მი დაეწია პატარა ძაღლს, რომელიც უკვე ბაღში იყო და სცადა ახსნა:

— შენ იღებ ჩემს საყვარელ სათამაშოებს და მიგაქვს ბაღში, შემდეგ კი ისინი იკარგებიან... — თქვა განაწყენებულმა მიმ.

— მე... მე... მინდა სათამაშოების ხის გაზრდა...— თქვა ცოტა დაბნეულმა პუჰმა.

— კი, მაგრამ ასე არ შეიძლება! ეს ჩემი სათამაშოებია! შენ კი... შენ იღებ მათ ნებართვის გარეშე! გარდა ამისა, სათამაშოები ხეებზე არ იზრდება! —აღშფოთებულმა წამოიძახა მიმ.

— შენ მაინც არ მომცემდი უფლებას, შენი სათამაშოები

წამელო! — ჩაილაპარაკა განაწყენებულმა პუჰმა და დაამატა: — შენ ხომ სათამაშოების ხეების გაზრდა არასდროს გიცდია! მე კი... მე სპეციალური საჩურჩულოც კი მოვიფიქრე და თბილი თათებით მიწასაც ვასწორებ. აი ნახავ! მე აუცილებლად გავზრდი უზარმაზარ ხეს ამ... ჰმ... ჟელეს დათუნიებით ან ყიყინებით! აი ასე! - თავდაჯერებულად თქვა პუჰმა, თეთრი კუდი ასწია და მედიდური სახით მიემართა სახლისკენ.

პუჰი რაღაცა აუხსნელი ხერხით ყოველთვის პოულობდა იმას, რაც სჭირდებოდა. დივანზე ან სკამზე, თუნდაც ყველაზე განცალკევებულ ადგილებში, მარტი-პუჰის ჯადოსნური ცხვირი დაუყოვნებრივ გრძნობდა საჭირო არომატს და როგორც კი სათამაშოს იპოვიდა, ყველაზე საინტერესოს ირჩევდა და ბაღში გარბოდა თავისი მონაპოვარის დასამარხად. პუჰი მტკიცედ ცდილობდა საინტერესო სათამაშოების დამარხვას. მაშინ მიმ გადაწყვიტა, რომ დედისთვის ეთხოვა ძაღლთან საუბარი. დედა, რა თქმა უნდა, დათანხმდა და აუხსნა მის:

— ამ პრობლემის გადასაჭრელად, სათამაშოები უჯრაში უნდა შეინახო ხოლმე და თამაშის შემდეგ არ გაფანტო. ამ შემთხვევაში ძაღლ პუჰს არაფერი ექნება წასაღები და სათამაშოებიც აღარ დაიკარგება! მოდი ვცადოთ სათამაშოების შენახვა, რომ ვნახოთ, გაქრებიან ისინი თუ არა!

მი, რა თქმა უნდა, დაეთანხმა. დროთა განმავლობაში მან შენიშნა, რომ მის მიერ შენახული სათამაშოები აღარ

იკარგებოდა.

— პაპარა-პი-პი! — სიხარულით წამოიძახებდა ხოლმე მანქანა მი ყოველ ჯერზე, როდესაც სათამაშოების უჯრას ხსნიდა. ის აღფრთოვანებული იყო ამ აღმოჩენით და მიხვდა, რომ გაფანტული ნივთები შეიძლება იკარგებოდეს. ძაღლი პუჰი ძალიან განაწყენებული და მოწყენილი იყო. მაგრამ ერთ დღეს, მისმა ჯადოსნურმა ცხვირმა ახალი, უცნობი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო არომატი იგრძნო. ეს ბარამბო იყო! მოხიბლულმა ამ ახალი აღმოჩენით, მან მოძებნა ბაღში მრავალი სასარგებლო მცენარე და თავისი საყვარელი მარწყვის ჩაისთვის არომატული მცენარეების სრულიად ახალი სამყარო აღმოაჩინა.

1. სად გაქრა სათამაშოები?
2. რა უნდა გავაკეთოთ, რომ სათამაშოები არ დაიკარგოს?
3. რატომ იყო პუჰი განაწყენებული?
4. რა ახალი ჰობი აღმოაჩინა პუჰმა?

დაეხმარეთ მანქანა მის პუჰის დაჭერაში.



დილა ბაღში



დილით, ძაღლი პუჰი ყველაზე ადრე დგებოდა და პირდაპირ ბაღში გარბოდა, რათა თხილზე მოჩხუბარი ხმაურიანი თაგვები და ციყვები გაედევნა.

— რას ხმაურობთ ამდენს? ყველას ჯერ კიდევ სძინავს! ყოველ დილით ერთი და იგივეა. ტყე სავსეა თხილით,

მაგრამ არა, ყველას უნდა ჩვენს ბაღში შემოსვლა, — ჩაიბურტყუნა პუჰმა და თათებით ბალახს ფხეკდა. მაგრამ ციყვები ყოველთვის ტოტებიდან თაგვებს აჯავრებდნენ და თხილს ესროდნენ, მათ არ იცოდნენ, რომ თაგვებს ასე ჰქონდათ ჩაფიქრებული, ამიტომ ხმაურისა და ჟრიამულის შეჩერება ძნელი იყო. შემდეგ პუჰი ჩუმად იპარებოდა მისთან ოთახში და მეგობრის გაღვიძებას იწყებდა.

— ძილისგუდააა, ადექი! იქ იმდენი საინტერესო რამ არის! აააი ამდენი! და შეიძლება კიდევ უფრო მეტიც...— ოცნებით თქვა პუჰმა და თათებით უხილავი განზომილება გამოკვეთა. — თორემ საღამომდე ყველაფრის გასარკვევად დრო არ გვეყოფა!

— ვდგებიიიი! — თქვა მიმ, იგი ზამბარასავით ხტუნავდა და სახლში გადაადგილების გასაადვილებლად ტრანსფორმირდებოდა.

მანქანა მი, როგორც წესი, კარგ ხასიათზე იღვიძებდა. ფანჯრების გასარეცხად საყვარელი ჭიქიდან წყლის დალევის შემდეგ, კაპოტს აპრიალებდა და პატარა საბურავებს ბერავდა. ბაღში ჩასვლისას, მეგობრები გაოცდნენ, თუ რამდენი ყვავილი იყო აყვავებული ხეხილზე. ფუტკრების მხიარულმა ზუზუნმა კი მათი ყურადღება და ინტერესი მიიპყრო.

— რა სასიამოვნოა ასეთი ზუზუნიანი ხის ქვეშ დგომა, როცა ის ყვავის! ისეთი შეგრძნებაა, თითქოს შიგნით ყველაფერი გიზუზუნებს! — თქვა მიმ. იგი ალუბლის ყვავილების უზარმაზარი თაიგულის ქვეშ დადგა და თვალები

აღფრთოვანებით დახუჭა. მან დაამატა:

— იქნებ ვნახოთ, როგორ ამზადებენ ფუტკრები თაფლს?!

პუჰს დიდხანს უძრავად დგომა არ უყვარდა. მან გადაწყვიტა ხის გარშემო გარბენა და სიოს დადევნება. მან იმედით გაიფიქრა: — ნეტავ ფუტკარი დავიჭირო და მას თაფლი წავართვა! ბაღში დავმარხავდი. იქნებ...იქნებ თაფლის ხე მართლაც გაიზარდოს! ან და... ან თუნდაც ბუჩქი! იიიფ... იიიფ!

სასიამოვნო ფიქრებით შთაგონებულმა, მან ჩუმად დაიწყო ახალი სიმღერის ღიღინი:

ცოტა თაფლი მინდა-ო, პატარა ნაჭერი-ო!
რომ ყლორტები გავზარდო!
ფუტკრის დაჭერა მინდა,
რომ თაფლი წავართვა!
მზის გულზე დავრგავ-ო
თბილი თათით დავტკეპნი
და... ცოტას მოვიცდი!

პუჰი მოუთმენლად ელოდებოდა, როდის ინადიმებდა თაფლის ტოტებითა და ფოთლებით, და შესაძლოა თაფლის მძივებითაც კი. უეცრად რაღაცა აზუზუნდა მის პირში და მწვავე ტკივილი იგრძნო. პუჰმა საცოდავად დაიწკმუტუნა.

ტირილის გაგონებაზე მიმ შენიშნა, რომ პუჰი ბუშტივით იბერებოდა. მისი თათები ძლივს ეხებოდა მიწას. მიმ პუჰს კუდში ხელი მოჰკიდა, ეშინოდა, რომ გაფრენილიყო.

— პუჰ, რა გჭირს? — შეშინებულმა იკითხა მიმ.

მაგრამ პუჰი თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა და მის კბილებში მხოლოდ ზოლიანი მწერის ნაწილი ჩანდა.

მანქანა მი მიხვდა, რომ დახმარებისთვის ზრდასრულისთვის უნდა მიემართა. მას გაუგონია, რომ მწერის ნაკბენმა შეიძლება ალერგია გამოიწვიოს და ეს ძალიან საშიშია სიცოცხლისთვის. სწორედ ამ დროს დედა ბაღში გავიდა ყვავილების დასაკრეფად მისი საყვარელი ჩაისთვის. — დედა, უშველე პუჰს, ის ეხლა ჩვენგან გაფრინდება! — დაიყვირა მიმ. — ოჰ! მას ეტყობა ფუტკარმა უკბინა. სასწრაფოდ ცივი უნდა დავადოთ რამე და სპეციალური წამალი მივცეთ! — თქვა დედამ, პუჰის მდგომარეობის შეფასებისას.

ცოტა ხნის შემდეგ პუჰმა დაიწყო ჩაფუშვა და საცოდავ სტვენას გამოსცემდა. ის უკვე უფრო ძაღლს ჰგავდა, ვიდრე ბუშტს.

— არა!!! — იყვირა პუჰმა.

— რა, არა?! — გაოცდა მი, ის არ ელოდა პუჰისგან ამხელა ხმას.

— ფუტკარმა კი არ მიკბინა! მე ვუკბინე მას! ეს მე დავიჭირე ფუტკარი! რრრრრრრ! მას ასე არ უნდოდა, მირბოდა... და-და-და იკბინებოდა! აი!“ ამაყად თქვა პუჰმა, გამარჯვებულის შეხედულების შესაქმნელად. — როგორ შეიძლება ფუტკრების ასე დაჭერა? — იკითხა გაკვირვებულმა მიმ. — ისე... ფუტკრის დაჭერა არც ისე ადვილია, მას ხომ ხუთი თვალი აქვს. პუჰ, იქნებ მითხრა რატომ დაიჭირე, თუ საიდუმლო არ არის? —იკითხა

გაკვირვებულმა დედა მანქანამ.

— მე... მინდოდა ფუტკრისგან თაფლი ამეღო...— თქვა დაბნეულმა პუჰმა.

— ფუტკარი თაფლს თან არ ატარებს. ის მხოლოდ ყვავილის ნექტარს ატარებს და ეს თაფლი არ არის, — მშვიდად აუხსნა დედა მანქანამ. —მაშინ საიდან იღებენ თაფლს? — პუჰი გაოცდა.

— ჯერ ყვავილის ნექტარს სპეციალურ ტომარაში აგროვებენ. პაკეტში ნექტარი ფუტკრის მიერ გამოყოფილ სხვადასხვა ფენს ერწყმის. ისინი ასევე აგროვებენ ყვავილების მტვერს, ახვევენ ბურთულებად და ფეხებზე იმაგრებენ. — კიიიი! მინახავს ფუტკრები ფეხებზე კაშკაშა ყვითელი ბურთულებით! და მეც ასე ვიფიქრე! — ჩაიცინა მიმ, — მეგონა, რომ ეს ლამაზი მანიკური იყო!

— ოჰ, გამაცინა! არა, ეს მანიკური არ არის, მაგრამ ფერი ძალიან ლამაზია! — გაიცინა დედამ.

— მაშ სად უნდა ვეძებოთ თაფლი? — პუჰს დაჟინებით უნდოდა თაფლის დარგვა.

— ფუტკარს ნექტარი თავის სკაში მოაქვს, რომ სხვა ფუტკარს გადასცეს.

— აჰააააა! ეს ესტაფეტას ჰგავს! — წამოიძახა მიმ.

დედამ განაგრძო მოყოლა:

— მეორე ფუტკარი ნექტარს კვლავ განსაკუთრებულ ფენს უმატებს. ხოდა, თაფლის უფრო სწრაფად გასაკეთებლად, ფუტკარს ნექტარი ფიჭის უჯრედებში გადააქვს. ფრთების ენერგიულად ქნევით, ფუტკარი თაფლს

აშრობს. თაფლის ცომივით რამდენჯერმე მორევის შემდეგ ისინი მას ფიჭაში სასარგებლო საკვები ცვილით ხუფავენ.

— რა მაგრები ყოფილან ფუტკრები!— გაოცდა მი და მეგობარს ცხვირზე ცივი ყინულის ნატეხი მიადო. — ნუ თუ არ იღლებიან? — ძალიან შრომისმოყვარე არსებები არიან! — განაგრძო დედამ:

— ერთი კილოგრამი თაფლის შესაქმნელად, ფუტკრებმა ოთხი მილიონი ყვავილიდან ნექტარი უნდა შეაგროვონ და დედამიწის სამი ორბიტის ტოლი მანძილი იფრინონ. — პუჰმა თვალები აატრიალა ამაზე.

— კარამც და არა... მე ნამდვილად არ დავედევნები მათ დედამიწის გარშემო! — ესენი ფუტკრები კი არ არიან, ესენი რაღაც ფრთიანი ჩემპიონები არიან! ჯობია ვთხოვო, თაფლის პააატარა წვეთები მომცენ... სულ სულ ცოტა... — წამოიძახა ჩაფიქრებულმა პუჰმა.

— მოდი ჯობია მამას ვთხოვოთ. ის აუცილებლად მოგვიტანს თაფლს ფიჭით! თქვენ კი... საკმარისად იურთიერთეთ ფუტკრებთან...—ამოიოხრა დედამ და პუჰის ჯერ კიდევ შეშუპებული ცხვირისთვის ყინულის კიდევ ერთი ნაჭტეხი ამოიღო.

ამასობაში, პუჰი უკვე ოცნებობდა, როგორ მიიღებდა სანუკვარი თაფლის ნაჭერს თანაც ფიჭით.

კითხვები.

1. ვინ დაეხმარა პუჰს ჩაფუშვაში?
2. რამ უშველა ძალი პუჰის ალერგიას?

3. რა არის ის ყვითელი ბურთულები, რომლებსაც ფუტკრები ფეხებზე ატარებენ?

4. იცით, სად ინახავენ ფუტკრები თაფლს?

დაეხმარეთ პუჰს ფუტკრის სკაში წაყვანაში.



ძაღლების საშინელი ისტორიები



ყოველ საღამოს,მანქანა მი დასაძინებლად ემზადებოდა. ეს მთელი რიტუალი იყო.

მას არაფერი უყვარდა საშხაპეში თბილი წყლის ქვეშ ჯდომაზე მეტად. სწორედ ასეთ მომენტებში იბადებოდა მისი

საყვარელი სიმღერები:

პაპარა-პპი-პპი!
მჯერა, რომ მე ფრენას შევძლებ
და ცას მივწვდები ხელებით!
ღრუბლების შემოვლას შევძლებ!
და საოცრებებს შევხვდები!
ფუმფულა ღრუბლების ხალიჩა,
და ფეხქვეშ იოლი გზა მაქვს!
მე მჯერა, რომ შევძლებ ფრენას
და სამყაროს შემეცნებას!

სიმღერის ღიღინით მი ოცნებობდა, რომ ტრანსფორმაციით შეძლებდა ჩიტივით ფრენას, ფუმფულა ღრუბლებზე ხტუნვას და ღრუბლებში ტკბილი ბამბის ჭამას.

— მმმ... რა გემრიელია! — გაიფიქრა მიმ და სიამოვნებისგან ტუჩებით წაიცმაცუნა.

იმ საღამოს მი თავის თბილ საწოლში ჩაძინებას აპირებდა, როდესაც უეცრად საშინელი ხმები გაიგონა. ვიღაც სიბნელეში აბაკუნებდა თათებს, აკაკუნებდა, ღრუტუნებდა და კედელსაც კი კაწრავდა კლანჭებით. ხმაური თითქოს ოთახის კუთხიდან მოდიოდა. შიშისგან მის გონებაში საშინელი აზრები ტრიალებდა:

— იქნებ ეს ურჩხული ჩემს ოთახში შემოსვლას ცდილობს? ან ქურდები არიან? ოჰ, რა მოხდება, თუ ეს მოჩვენებაა? ან... ან კბილებიანი დინოზავრი ტირექსი?

— ძაღლო პუჰ, სად ხარ?— დაუძახა მიმ მეგობარს. მაგრამ საშინელი ხმები ისევ მოისმა. შემდეგ მის გაახსენდა? რომ ბალიშის ქვეშ ედო ფარანი, რომელიც მას ცოტა ხნის წინ აჩუქეს. მან დანამდვილებით იცოდა: ყველაფერს, რისიც გვეშინია და ყველას, ვისიც გვეშინია, ასევე რაღაცის ეშინიათ. შეიძლება ურჩხულებსა და მოჩვენებებს ეშინოდეთ უბრალო ფარნის, მაგრამ დინოზავრ ტირექსს საერთოდ არ შეუძლია კაშკაშა სხივების ატანა და შეიძლება იტიროს კიდეც! პატარამ სწრაფად ჩართო ფარანი და კაშკაშა სხივი პირდაპირ ოთახის კუთხეში მიმართა. უცებ მან დაინახა... პუჰის თეთრი კუდი, რომელიც კედელსა და ტუმბოს შორის იყო გამოწეული.

— პატარა ონავარო! რას აკეთებ იქ?— დაიყვირა მიმ.

— გავიჭედე! — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა პუჰმა.

შემდეგ კი იგივე საშინელი ხმები გაისმა, რამაც ბავშვი შეაშინა. ამ დროს ოთახში შემოვიდა დედა, რათა შეემოწმებინა, საიდან მოდიოდა ხმაური.

Конец ознакомительного фрагмента.

Текст предоставлен ООО «Литрес».

Прочитайте эту книгу целиком, купив полную легальную версию на Литрес.

Безопасно оплатить книгу можно банковской картой Visa, MasterCard, Maestro, со счета мобильного телефона, с платежного терминала, в салоне МТС или Связной, через PayPal, WebMoney, Яндекс.Деньги, QIWI Кошелек, бонусными картами или другим удобным Вам способом.